ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის

სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს:დავით კიკნაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთაპროფესიულ საჯარო მოხელეტა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირტა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის სესახებ“, ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ივლისის სხდომის

ოქმი N 10

დაბა ხარაგაული 2020 წლის 06 ივლისი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები ,პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, , შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, გივი ხიჯაკაძე, იუზა კელენჯერიძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, სულ საკრებულოს 26 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნონო მაღლაკელიძე -მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

აფრასიონ ლურსმანაშვილი - მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის'' დირექტორი,

თ. გოგოლაძე – გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

თ. ბერიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს:დავით კიკნაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

მომხს: აფრასიონ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთაპროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის სესახებ", ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისათვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

მომხრ 26

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ლ. აბაშიძემ - მან მადლობა გადაუხადა კომისიის თავმჯდომარეს საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში ჩვენ სკოლებმა დიდ გამოწვევებს გაუძელით და დიდი შრომა გავწიეთ სასწავლო წლის ნორმალურად დასრულებისათვის, მე ამ კომისიის წევრი ვარ და კმაყოფილი ვარ კომისიის საქმიანობით. მინდა ერთი მოკრძალებული თხოვნით მივმართო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონო დავით, ხუნევში გვაქვს ბაღის შენობა, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, იქნებ დაგვეხმაროთ და კომისიის ფორმატში დავსვათ საკითხი ამ ბაღის რეაბილიტაციის შესახებ 2021 წლისათვის,

კომისიის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

ე. შველიძემ აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობას აფასებს დადებითად და კომისიის თავმჯდომარეს შეახსენა, რომ თქვენს ანგარიშში აუცილებლად უნდა აისახოს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში მემორიალური მუზეუმის გახსნის შესახებ, რადგან ეს არის ერთადერთი მუნიციპალიტეტის, სადაც ასეთი მუზეუმი არსებობს.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ კომისიას ავალია მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის სფერო, რომელიც არის წარმატებული სფერო, კომისიის საქმიანობას ვაფასებ დადებითად და მაქვს თხოვნა ატრაქციონების საკითხი ერთად დავაყენოთ მერიის წინაშე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე
დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი
მომხრე 26
წინააღმდეგი 0
თავი შეიკავა 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19

დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილ ცვლილებებს კომისიამ დაუჭირა მხარი.

თ. ავალიშვილმა მომხსენებლს დაუსვა შეკითხვა, თუ სად მიდის სეკვესტრირებული თანხა და კიდევ მაინტერესებს როდის უნდა განაწილდეს სოციალურ პროგრამაში გადატანილი 15 000ლარი.

ნ. მაღლაკელიძემ უპასუხა, რომ ეს თანხა მიაქვს სახელმწიფოს, სოციალურ პროგრამებში არის თანხა დარჩენილი და წლის ბოლომდე განაწილდება თუ საჭიროება იქნება კიდევ დაემატება.

ნ. კიკნაძემ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა ასევე გააკეთა განმარტება, რომ პროგრამა გაწერილია , თანხა არის და მიმდინარეობს საჭიროების მიხედვით განაწილება

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 2

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ა. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ.. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე , მისაღებია სტრუქტურული ცვლილება რაც განხორციელდება სამსახურის რეორგანიზაციით და ველოდებით შედეგებს. კარგია, რომ ემატება ერთი განყოფილება და სამსახური გაძლიერდება.

თ. ფცქიალაძემ მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა ინერტული მასალის ამოღების უფლებას ვინ იძლევა

ა. ლურსმანაშვილმა განუმარტა, რომ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური კომპეტენცია არ არის ნებართვების გაცემა, თუმცა კანონის დარღვევის შემთხვევაში შეიძლება ვაცნობოთ ზემდგომ ორგანოებს.

შ. ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს სამსახურში დაგეგმილ ცვლილებებს

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა ,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“. ცვლილების შეტანის თაობაზე
(თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ გაგრძელებულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

მომხრე 0

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მ.. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე კომისიის წევრთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ღობის მავთულბადე არ გაიყიდოს და გამოიყენოს მუნიციპალიტეტმა საბავშვო ბარების, სკოლების და კულტურული ობიექტების შემოსაღობად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი 93 ერთეული მავთულბადის საპრივატიზაცი ობიექტთა ნუსხიდან და გეგმიდან ამოღების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯ, ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ გამართულა და ისე, როგორც პირველ შემთხვევაში საპრივატიზაციო გეგმიდან ამოღებული იქნა 93 ერთეული მავთულბადე

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ სახელის შეცვლისა და ფრაქციისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ სახელის მინიჭების შესახებ (თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ფრაქციის სახელწოდების ცვლილების ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე